

ანაკლის ახალი ღრმაწყლოვანი ნავსადგურის
საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტი

კერძო პარტნიორის შერჩევის პროცესის განზრახულობის შესახებ განაცხადი

20 თებერვალი 2023

მნიშვნელოვანი შენიშვნა	3
განმარტებები	4
1 შესავალი	6
2 პროექტის შესავალი	7
3 კვალიფიკაციის შესახებ განაცხადის წარდგენის შესახებ მითითებები	10
4 კვალიფიკაციის შესახებ განაცხადის შინაარსი	12
5 კვალიფიკაციის შესახებ განაცხადის შეფასება	14
6 ზოგადი მოთხოვნები და პირობები	15
ფორმა I: გაუმყლავნებლობის შესახებ ხელშეკრულება	17
ფორმა II: ზოგადი ინფორმაცია კანდიდატის შესახებ	20
ფორმა III: შერჩევის პროცესზე დაუშვებლობის და/ან დისკვალიფიკაციის საფუძვლები	23
ფორმა IV: საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ განაცხადი	24
ფორმა V: საკვალიფიკაციო მოთხოვნები – ტექნიკური მოთხოვნები	25
ფორმა VI: საკვალიფიკაციო მოთხოვნები – საინვესტიციო მოთხოვნები	26
ფორმა VII: საკვალიფიკაციო მოთხოვნები – მოთხოვნები ადამიანური რესურსებისა და მართვის შესახებ	27
ფორმა VIII: საკვალიფიკაციო მოთხოვნები – საოპერაციო მოთხოვნები	28
ფორმა IX: საკვალიფიკაციო მოთხოვნები – ფინანსური მოთხოვნები	29

მნიშვნელოვანი შენიშვნა

წინამდებარე განზრახულობის შესახებ განაცხადი („გშგ“) არ წარმოადგენს შეთავაზებას ანაკლის ახალი ღრმაწყლოვანი ნავსადგურის პროექტზე რაიმე სახის გარიგების დასადასტურებლად, არამედ ასახავს მხოლოდ საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღწერას კვალიფიკაციის შესახებ განაცხადების („კშგ“) წარდგენასთან დაკავშირებით. წინამდებარე დოკუმენტი არ არის იურიდიულად მავალდებულებელი და არ წარმოშობს რაიმე სახის სამართლებრივ ვალდებულებებს.

წინამდებარე „გშგ“ არ უნდა იყოს აღქმული ისე, რომ იგი არის ყოვლისმომცველი, ან მოიცავს სრულ ინფორმაციას, რომელიც საჭიროა, ან შეიძლება საჭირო იყოს პოტენციური ინვესტორის, პარტნიორის ან დაინტერესებული პირისთვის პროექტის გასაცნობად. აღნიშნულმა პირებმა უნდა ჩაატარონ საკუთარი ანალიზი, გადაამოწმონ და გამოიკვლიონ საჭირო ინფორმაცია ისე, როგორც მიზანშეწონილად მიაჩნიათ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (შემდგომში **"სამინისტრო"**) და სსიპ ანაკლის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო (შემდგომში **"სააგენტო"**) და/ან მათი რომელიმე დირექტორი, თანამშრომელი ან მრჩეველი წინამდებარე დოკუმენტით არ იძლევიან რწმუნებას, არც გარანტიას, პირდაპირ ან არაპირდაპირ, წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის სიზუსტისა და სისრულესთან დაკავშირებით. არანაირი პასუხისმგებლობა არ წარმოიშობა კომუნიკაციის ფარგლებში გაცემული ინფორმაციის ან მოსაზრების სიზუსტესა და სისრულესთან დაკავშირებით და შესაბამისად, რაიმე სახის პირდაპირი, არაპირდაპირი ან შედეგობრივი ზიანი, რომელიც, აღნიშნულთან დაკავშირებით განიცადა ნებისმიერმა მხარემ, არ ანაზღაურდება.

შერჩევის პროცესი საჯაროა და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული კანდიდატისთვის, რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე განზრახულობის შესახებ განაცხადით („გშგ“) დადგენილ მოთხოვნებს.

განმარტებები

სააგენტო	სსიპ ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო.
ანაკლიის ნავსადგური	განსაზღვრულია წინამდებარე განზრახულობის შესახებ განაცხადის („გშგ“) 2.1 პუნქტში.
უფლებამოსილი წარმომადგენელი	კანდიდატის უფლებამოსილი წარმომადგენელი, რომელიც იქნება ამ პროექტზე მთავარი საკონტაქტო პირი.
კანდიდატი	განსაზღვრულია წინამდებარე განზრახულობის შესახებ განაცხადის („გშგ“) 1.1 პუნქტში.
კომერციული კვლევები	გულისხმობს კომერციულ კვლევებს, რომლებიც უნდა გადაეცეს პოტენციურ კანდიდატებს გშგ-ს ეტაპზე, შეესაბამება და ხელმოწერილი გაუმყდავანელობის შესახებ შეთანხმების მიღების შემდეგ, რომელიც მოიცავს MTBS-ის მიერ პროექტთან დაკავშირებით მომზადებულ ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევას (2021) და გენერალურ გეგმას (2019).
კონცესიის ხელშეკრულება	განსაზღვრულია წინამდებარე „გშგ“ 2.1 პუნქტში.
კონცესიონერი/ინსტიტუციური საჯარო და კერძო თანამშრომლობის კომპანია	განსაზღვრულია მიზნით, საჯარო და კერძო თანამონაწილეობით და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კომპანია, რომელმაც უნდა გააფორმოს კონცესიის ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასთან;
კონსორციუმი	კერძო სამართლის იურიდიულ პირთა გაერთიანება ან/და კერძო სამართლის იურიდიულ პირთა და ფიზიკურ პირთა გაერთიანება ერთობლივი საქმიანობის (აშხანაგობის) ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც გეგმავს შესარჩევ პროცესში მონაწილეობის მიღებას;
მშენებლობის დაწყების თარიღი	კონცესიონერის მიერ მშენებლობის დაწყების/გაგრძელების თარიღი, რომელიც განისაზღვრება კონცესიის ხელშეკრულებით;
DBFOM	გულისხმობს პროექტირებას, მშენებლობას, დაფინანსებას, ოპერირებას და მოვლა-პატრონობას.
ეკონომიკური ინფრასტრუქტურა	ნიშნავს ტრანსპორტის, ნარჩენების მართვის, ენერჯეტიკის, კომუნიკაციების, კომუნალური, წყლისა და კანალიზაციის, ჰიდროლოგიური და ნაპირდაცვითი სექტორების ინფრასტრუქტურას, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის, რეგიონის ან ქალაქის ეკონომიკისთვის, ეკონომიკურ აქტივობას;
თიზ	გულისხმობს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონას.
წამყვანი წევრი	სუბიექტი, რომელიც, ნებისმიერი მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად, იურიდიულად, სრულად წარმოდგენს და შეუქცევადად ავალდებულებს კონსორციუმის ყველა წევრს და ყველა ქვეკონტრაქტორს „კშგ“სთან დაკავშირებულ ყველა საკითხში.
სამინისტრო	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
გაუმყდავანელობის ხელშეკრულება	იგულისხმება ფორმა I-ში მოცემული გაუმყდავანელობის შესახებ შეთანხმების ფორმა.
PPP დადგენილება	განსაზღვრულია გშგ-ს 2.1 პუნქტში.
PPP კანონი	განსაზღვრულია გშგ -ს 2.1 პუნქტში.
კერძო პარტნიორი	განსაზღვრულია გშგ-ს 2.1 პუნქტში.
პროექტი	განსაზღვრულია გშგ-ს 2.1 პუნქტში.
პროექტის მდებარეობა	განსაზღვრულია გშგ-ს 2.1 პუნქტში.
წინადადება	გულისხმობს შეთავაზებას, რომელიც წარმოდგენილ უნდა იქნეს „წინადადებების წარმოდგენის შესახებ მოთხოვნის“ საპასუხოდ.
კვალიფიციური კანდიდატი	კანდიდატი, რომელიც აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და რომელიც მოწვეულია წინადადების წარმოსადგენად, „წინადადებების წარმოდგენის შესახებ მოთხოვნის“ შესაბამისად.
საკვალიფიკაციო მოთხოვნები	განსაზღვრულია გშგ-ს მე-4.5 პუნქტში.
წინადადებების წარმოდგენის შესახებ მოთხოვნა (RFP)	შესარჩევი კომისიის მიერ დამტკიცებული დოკუმენტი, რომელიც იწვევს კვალიფიციურ კანდიდატებს პროექტთან დაკავშირებით წინადადებების წარმოსადგენად.

შესარჩევი კომისია		განსაზღვრულია გშგ-ს 2.1 პუნქტში.
შერჩევის პროცესი		განსაზღვრულია გშგ-ს 2.1 პუნქტში.
განზრახულობის განაცხადი (ან „გშგ“)	შესახებ	წინამდებარე განზრახულობის შესახებ განაცხადი პროექტში კერძო პარტნიორის შერჩევის პროცესისთვის.
კვალიფიკაციის განაცხადი (ან „კშგ“)	შესახებ	კანდიდატის მიერ წარდგენილი დოკუმენტები წინამდებარე განზრახულობის შესახებ განაცხადების („გშგ“) საპასუხოდ.
ქვეკონტრაქტორ(ებ)ი		აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს EPC კონტრაქტორებს, O&M კონტრაქტორებს, ნავსადგურის ოპერატორებს და სხვა მატერიალურ ქვეკონტრაქტორებს, რომლებიც დადებენ ხელშეკრულებას კონცესიონერთან.
ტრანზაქციის მრჩეველები		Squire Patton Boggs (MEA) LLP და Maritime & Transport Business Solutions B.V.

„საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერმინებს ექნებათ იგივე მნიშვნელობა, თუ ამ „გშგ“-ში სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

1 შესავალი

1.1 შესავალი

განზრახულობის შესახებ წინამდებარე განაცხადის (გშგ) თანახმად, სამინისტრო და სააგენტო იწვევენ ადგილობრივ და საერთაშორისო კომპანიებს და/ან კონსორციუმებს (შემდგომში "კანდიდატები"), რათა წარმოადგინონ კვალიფიკაციის შესახებ განაცხადი (კშგ), პროექტში კერძო პარტნიორად მონაწილეობისთვის. წარმატებულმა კანდიდატმა პროექტში მონაწილეობა უნდა მიიღოს როგორც კერძო პარტნიორმა კონცესიონერში/ინსტიტუციურ საჯარო და კერძო თანამშრომლობის კომპანიაში, რომელშიც, მოიაზრება, რომ საქართველოს მთავრობას (პირდაპირ, ან სახელმწიფოს 100% იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კომპანიის მეშვეობით) ექნება წილების 51 პროცენტი, ხოლო კერძო პარტნიორს წილების 49 პროცენტი. თუმცა წილთა აღნიშნული სტრუქტურა შესაძლოა გადაიხედოს შესარჩევი კომისიის მიერ „წინადადებათა წარმოდგენის შესახებ მოთხოვნის“ პროცესში. კანდიდატებს შეუძლიათ მოიწვიონ ქვეკონტრაქტორები, კვალიფიკაციის შესახებ განაცხადის (კშგ) წარდგენაში მხარდასაჭერად და მონაწილეობის მისაღებად.

სააგენტომ დაიქირავა ოურიდიული ფირმა Squire Patton Boggs და Maritime Transport & Business Solutions (MTBS) ტრანზაქციის მრჩეველებად. ამ პროცესში სააგენტოს დახმარებას უწევს ტრანზაქციის მრჩეველები და სააგენტო იტოვებს უფლებას გაუზიაროს და გაავრცელოს კანდიდატების მიერ მიწოდებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია მათ ან სხვა მრჩეველებს პროექტთან დაკავშირებით.

1.2 წინამდებარე გშგ-ს მიზანი

წინამდებარე განზრახულობის შესახებ განაცხადის მიზანია პროექტისთვის კვალიფიციური კანდიდატების შერჩევა, რომლებიც შემდეგ მოწვეულნი იქნებიან წინადადებების წარმოდგენის შესახებ მოთხოვნის (RFP) ეტაპზე მონაწილეობისთვის.

1.3 გშგ-ს სტრუქტურა

წინამდებარე განზრახულობის შესახებ განაცხადი მოიცავს შემდეგ პუნქტებს:

- მე-2 პუნქტში მოცემულია პროექტის შესავალი;
- მე-3 პუნქტში მოცემულია კვალიფიკაციის შესახებ განაცხადის (კშგ) წარდგენის ინსტრუქცია;
- მე-4 პუნქტში მოცემულია კვალიფიკაციის შესახებ განაცხადის (კშგ) მოთხოვნილი შინაარსი;
- მე-5 პუნქტში აღწერილია კვალიფიკაციის შესახებ განაცხადის (კშგ) შეფასება;
- მე-6 პუნქტში მოცემულია კვალიფიკაციის შესახებ განაცხადის (კშგ) ზოგადი მოთხოვნები და პირობები;
- მე-7 პუნქტში თანდართულია ფორმები.

2 პროექტის შესავალი

2.1 ისტორია

საქართველო მდებარეობს აზიიდან ევროპის უმოკლეს მარშრუტზე და წარმოადგენს TRACECA-ს (ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო) დერეფნის ნაწილს. ამჟამად საქართველოში ოთხი ნავსადგურია - ბათუმი (იმართება სს NC "KazMunayGas"-ის შვილობილი კომპანიის მიერ, ძირითადად კონცენტრირებულია თხევად ტვირთზე, თუმცა ასევე ამუშავებს მშრალ ტვირთს და კონტეინერებს), სუფსა (BP-ის საკუთრება, ნავთობის ტერმინალი), ფოთი (APM Terminals-ის საკუთრება, რომელიც დანიური Maersk Group-ის დამოუკიდებელი ბიზნეს ერთეულია, ამუშავებს ძირითადად მშრალ ტვირთს და კონტეინერებს) და ყულევი (სოკარის საკუთრება, ძირითადად თხევადი ტვირთი).

ბოლო წლების განმავლობაში სატვირთო მიმოსვლა მნიშვნელოვნად გაიზარდა და ნავსადგურები გადატვირთულია. ასევე არსებული ნავსადგურების სიღრმე არ არის საკმარისი Panamax ან VLC გემების მისაღებად. საჭიროა ახალი ღრმაწყლოვანი ნავსადგურის (შემდგომში „ანაკლიის ნავსადგური“) მშენებლობა, რომელიც ისარგებლებს სტრატეგიული მდებარეობით და ექნება პოტენციური გაუმჯობესება მზარდ გამტარუნარიანობას ევროპასა და აზიის შორის. ახალი ანაკლიის ნავსადგური დაიკავებს მნიშვნელოვან პოზიციას ტრანზიტული ჰაბის სახით. ანაკლიის ნავსადგურის მდებარეობა იქნება საქართველოს შავი ზღვის სანაპირო, სოფელ ანაკლიის მიმდებარედ. პროექტის სავარაუდო კაპიტალის ღირებულება 500 მილიონი აშშ დოლარია.

კერძო პარტნიორი შეირჩევა საქართველოს კანონმდებლობის, კერძოდ, „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ 2018 წლის საქართველოს კანონის (შემდგომში „PPP კანონი“) და „საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილების (შემდგომში „PPP დადგენილება“) შესაბამისად.

სამინისტრო/სააგენტო აპირებს შეარჩიოს ინვესტორი/კერძო პარტნიორი (შემდგომში „კერძო პარტნიორი“), რომელიც ინვესტიციას განახორციელებს კონცესიონერში/ინსტიტუციურ საჯარო და კერძო თანამშრომლობის კომპანიაში, რომელმაც უნდა განავითაროს ანაკლიის ნავსადგური DBFOM საფუძველზე (შემდგომში „პროექტი“), საქართველოს მთავრობასა და კონცესიონერს/ინსტიტუციურ საჯარო და კერძო თანამშრომლობის კომპანიას შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების თანახმად (შემდგომში „კონცესიის ხელშეკრულება“). აღნიშნული წარმოადგენს ინსტიტუციურ საჯარო და კერძო თანამშრომლობას, რომლის ფარგლებში, მოიაზრება, რომ საქართველოს მთავრობა (პირდაპირ, ან სახელმწიფოს 100% იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კომპანიის მეშვეობით) იქნება კონცესიონერს/ინსტიტუციურ საჯარო და კერძო თანამშრომლობის კომპანიის წილის 51 პროცენტის მფლობელი, ხოლო კერძო პარტნიორი - 49 პროცენტის მფლობელი. თუმცა წილთა აღნიშნული სტრუქტურა შესაძლოა გადაიხედოს შესარჩევი კომისიის მიერ „წინადადებათა წარმოდგენის შესახებ მოთხოვნის“ პროცესში.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 სექტემბრის #1666 განკარგულებით, სამინისტროს და სააგენტოს მიერ თანხმობა, რომ პროექტი განახორციელოს კერძო პარტნიორის შერჩევის ეტაპიდან. 2022 წლის 15 დეკემბერს შექმნილ იქნა კერძო პარტნიორის შესარჩევი კომისია (შემდგომში „შესარჩევი კომისია“) „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტით სამინისტრო/სააგენტო აცხადებს შერჩევის პროცესს კონცესიონერში/ინსტიტუციურ კერძო და საჯარო თანამშრომლობის კომპანიაში კერძო პარტნიორის შესარჩევად და იწვევს დაინტერესებულ კანდიდატებს წარმოადგინონ კვალიფიკაციის შესახებ განაცხადები (კვშ), რათა მონაწილეობა მიიღონ კანდიდატის სახით საჯარო შერჩევის პროცესში (შემდგომში „შერჩევის პროცესი“).

კანდიდატებს შეუძლიათ ჩამოკალიბდნენ როგორც კონსორციუმში, ასევე უზრუნველყონ ქვეკონტრაქტორების ჩართულობა.

როგორც 4.2 პუნქტშია მითითებული, კანდიდატების მხრიდან გაუმყდებლობის შესახებ ხელმოწერილი ხელშეკრულებების მიღების შემდეგ, სააგენტო გასცემს კომერციულ კვლევებს თითოეულ კანდიდატზე, რომელიც მოიცავს დამატებით ინფორმაციას პროექტის შესახებ. სხვა საპროექტო კვლევები მიეწოდება კვალიფიციურ კანდიდატებს წინადადებების წარმოდგენის შესახებ მოთხოვნის (RfP) ეტაპზე, გაუმყდებლობის შესახებ ხელშეკრულების წარდგენის საფუძველზე.

დამატებითი ინფორმაცია კონცესიონერის შესაძლო ფინანსური და საინვესტიციო სტრუქტურასთან დაკავშირებით და ასევე კონცესიის ხელშეკრულებისთვის შემოთავაზებული რისკების განაწილების შესახებ, დაზუსტდება და მიეწოდება კვალიფიციურ კანდიდატებს წინადადებების წარმოდგენის შესახებ მოთხოვნის (RfP) ეტაპზე.

22 პროექტის მახასიათებლები

გამტარუნარიანობა და სამშენებლო ანაკლიის ნავსადგური უნდა აშენდეს ცხრა (9) ფაზის მიხედვით გენერალური გეგმის საფუძველზე, გამტარუნარიანობის გასაზრდელად.

ანაკლიის ნავსადგურის პირველმა (1) ფაზამ უნდა მიაღწიოს გამტარუნარიანობას, რომელიც საჭიროა ყოველწლიურად სულ მცირე ექვსასი ათასი (600,000) TEU ტვირთის დასამუშავებლად, რაც გულისხმობს შვიდი მილიონ რვაასი ათას (7,800,000) ტონას, საშუალოდ 13 ტონა/TEU გათვლით. კანდიდატის სურვილის შემთხვევაში, პირველი ფაზა (1) შეიძლება მოიცავდეს დამატებითი ტვირთის დამუშავების რესურსს. პირველი ფაზის მომზადების, მშენებლობისა და დასრულების კონკრეტული ვადები დაზუსტდება წინადადებების წარმოდგენის შესახებ მოთხოვნაში (RFP), მაგრამ პირველი ფაზის (1) ოპერირება უნდა დაიწყოს მშენებლობის დაწყების თარიღიდან სამი (3) წლის ვადაში.

მე-2 (ორი)-დან მე-9 (ცხრა) ფაზების განვითარება დაიწყება, როდესაც:

- ნავსადგურის ყოველწლიური ტვირთბრუნვა მიაღწევს წინა ფაზის გამტარუნარიანობის 80%-ს და;
- დამატებითი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა ჩატარდება კონცესიონერის მიერ, და
- საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები (IFI)/გამსესხებლები მოიწონებენ შემდგომი ფაზის განხორციელებას;

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია, თუ რა გამტარუნარიანობა უნდა იქნას მიღწეული თითოეული ფაზის განვითარების შემდგომ:

ფაზა	სრული გამტარუნარიანობა (ტონა/TEU)
ფაზა 1 (ერთი)	600,000 TEU/ *7,800,000 ტონა
ფაზა 2 (ორი)	14,000,000 ტონა
ფაზა 3 (სამი)	21,000,000 ტონა
ფაზა 4 (ოთხი)	30,000,000 ტონა
ფაზა 5 (ხუთი)	40,000,000 ტონა
ფაზა 6 (ექვსი)	55,000,000 ტონა
ფაზა 7 (შვიდი)	70,000,000 ტონა
ფაზა 8 (რვა)	85,000,000 ტონა
ფაზა 9 (ცხრა)	100,000,000 ტონა

*დაახლოებით 13 ტონა ერთ TEU-ზე

მე-2 (ორი)-დან მე-9 (ცხრა)-მდე ფაზის მინიმალური გამტარუნარიანობა შეიძლება მიღწეულ იქნეს დამატებითი კონტეინერების ან/და სხვა ტვირთის დამუშავებით.

ტვირთი:

კონცესიონერი პასუხისმგებელი იქნება ანაკლიის ნავსადგურისთვის ტვირთის მოცულობის დამუშავებაზე.

ოპერირების დაწყების თარიღი:

მშენებლობის დაწყების თარიღიდან სამ (3) წელიწადში.

მშენებლობის დაწყების თარიღი:

მშენებლობა დაიწყება/გაგრძელდება კონცესიის ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან 9 (ცხრა) თვის ვადაში.

დაფინანსება:

კონცესიონერი პასუხისმგებელია კაპიტალის უზრუნველყოფასა და მისი ვალდებულებების შესასრულებლად, სასესხო დაფინანსების მოზიდვისთვის.

მთავრობის მხარდაჭერა და დაფინანსება:

კონცესიონერი პასუხისმგებელი იქნება პროექტის გრძელვადიანი მდგრადობისა და მომგებიანობის უზრუნველყოფისათვის. ამის მიუხედავად, საქართველოს მთავრობა მონაწილეობას მიიღებს პროექტში და მხარდაჭერას გაუწევს კონცესიონერს შემდეგი სახით:

- შერჩევის პროცესის მიმდინარეობისას, საქართველოს მთავრობა გეგმავს, დააფუძნოს კომპანია 100%-იანი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით („სახელმწიფო კომპანია“), რომელიც დაიწყებს პროექტისთვის მოსამზადებელ სამუშაოებს, რაც შესაძლოა მოიცავდეს, საჭიროების შემთხვევაში, ყველა შესაბამისი კვლევის განახლებას, საჭირო ნებართვების

აღებას და გარკვეული სამშენებლო სამუშაოების დაწყებას. კერძო პარტნიორის შერჩევის შემდეგ, სახელმწიფო კომპანია და შერჩეული კერძო პარტნიორი დააფუძნებენ კონცესიონერს/ინსტიტუციურ საჯარო და კერძო თანამშრომლობის კომპანიას, სადაც სახელმწიფო კომპანიას, მოიაზრება, რომ ექნება წილების 51%, ხოლო კერძო პარტნიორს 49%, და რომელიც, შემდგომში გააფორმებს კონცესიის ხელშეკრულებას საქართველოს მთავრობასთან. წინადადებათა წარმოდგენის შესახებ მოთხოვნის დოკუმენტით განისაზღვრება ყველა სამუშაოს, კვლევების, მიწების, ნებართვების და მასთან დაკავშირებული უფლებებისა და ვალდებულებების კონცესიონერისთვის/ინსტიტუციური საჯარო და კერძო თანამშრომლობის კომპანიისთვის გადაცემის მექანიზმები და ვადები.

- საქართველოს მთავრობა (პირდაპირ, ან სახელმწიფოს 100% იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კომპანიის მეშვეობით) გადასცემს კონცესიონერს სამას ორმოც (340) ჰა-მდე მიწის ნაკვეთს (საპროექტო ტერიტორია) პროექტის განსახორციელებლად. ადრეული დადრმავეების სამუშაოები, მიწის მომზადება და ნიადაგის გაუმჯობესება უკვე შესრულებულია საპროექტო ტერიტორიაზე 2017-2019 წლებში; საპროექტო ტერიტორიის გადაცემის ფორმა და სხვა დეტალები დაზუსტდება წინადადებათა წარმოდგენის შესახებ მოთხოვნის დოკუმენტში;
- საქართველოს მთავრობა განიხილავს პროექტისათვის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ("თიზ") შექმნის შესაძლებლობას. დამატებითი დეტალები თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შესახებ დაზუსტდება კონცესიის ხელშეკრულების გაფორმებამდე;
- ქვეყანაში ნავსადგურის განვითარებასა და ოპერირებასთან მიმართებით რაიმე სახის ექსკლუზიური უფლებების მინიჭება არ განიხილება;
- საქართველოს მთავრობამ შესაძლოა გამოხატოს მზადყოფნა მხარი დაუჭიროს კონცესიონერს დაფინანსებასა და კომერციულ საკითხებში, შემდეგი ფორმით:
 - გააფორმოს პირდაპირი ხელშეკრულებები კონცესიონერის დამფინანსებლებთან, რათა ხელი შეუწყოს მის მიერ შემოთავაზებული ფინანსების უზრუნველყოფაში;
 - კონცესიის ხელშეკრულება შეიძლება შეიცავდეს დაცვით და სხვა საშუალებათა პირობებს კონცესიონერის სასარგებლოდ გარკვეულ მოვლენებთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება დადგეს კონცესიონერის კონტროლს მიღმა (მაგალითად, ბუნებრივი ფორს მაჟორული მოვლენები და გარკვეული პოლიტიკური რისკის შესახებ მოვლენები);
 - პროექტის სტრუქტურა შეიძლება ითვალისწინებდეს შესაბამის კომპენსაციის პირობებს, ხელშეკრულების შეწყვეტის გარკვეულ შემთხვევებში ან საფუძვლებთან მიმართებით, რომელიც მოსალოდნელია, რომ კომფორტს შეუქმნის კანდიდატსა და მის დამფინანსებლებს.

ზემოხსენებული მხარდაჭერისა და მონაწილეობის გარდა, საქართველოს მთავრობამ შეიძლება განიხილოს პროექტში დამატებითი მონაწილეობა. ამგვარი დამატებითი მონაწილეობის დეტალები შესაძლოა დაზუსტდეს წინადადებების წარმოდგენის შესახებ მოთხოვნაში (RFP) და კონცესიის ხელშეკრულების პროექტში.

სააგენტო განიხილავს ყველა ამ და სხვა საკითხს კვალიფიციურ კანდიდატებთან წინადადებების წარმოდგენის შესახებ მოთხოვნის (RFP) და კონცესიის შესახებ ხელშეკრულების მოლაპარაკების ეტაპზე.

ვადა:

პროექტის ვადა ანაკლიის ნავსადგურის პირველი ფაზის ოპერირების დაწყებიდან ორმოცდაცხრა (49) წელი.

ნავსადგურის ტიპი:

შერეული ტვირთი (კონტეინერები, მშრალი ტვირთი, სითხე და ა.შ)

გემების ტიპი:

ანაკლიის ნავსადგურს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს გემები მინიმუმ 6500 TEU ტევადობით.

3 კვალიფიკაციის შესახებ განაცხადის წარდგენის შესახებ მითითებები

3.1 ცხრილი

აქტივობა	თარიღი	დრო
განზრახულობის შესახებ განაცხადის გამოქვეყნება	20-02-2023	
დაზუსტებების შესახებ მოთხოვნის წარდგენის საბოლოო ვადა	21-04-2023	
კვალიფიკაციის შესახებ განაცხადის წარდგენის საბოლოო ვადა	19-05-2023	18:00 (GMT+03:00) თბილისი
კვალიფიციური კანდიდატების შეტყობინების საბოლოო ვადა	17-07-2023	
წინადადებების წარმოდგენის შესახებ მოთხოვნის საბოლოო ვადა	17-07-2023	-

3.2 განაცხადთა წარმოდგენის ინსტრუქცია

3.2.1 წარდგენის წესი და ჩაბარების მისამართი

კვალიფიკაციის შესახებ თითოეული განაცხადი წარმოდგენილ უნდა იქნეს სამი (3) ნაბეჭდი ასლის (დედნის სახით) და ერთი (1) ელექტრონული ასლის (PDF) სახით, დალუქულ კონვერტში არაუგვიანეს 2023 წლის 19 მაისს, 18.00 საათამდე თბილისის დროით, სააგენტოს შემდეგ მისამართზე:

სსიპ ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო
 ბაზის რიგი 7, თბილისი, 0105 საქართველო

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რაიმე შეუსაბამობა კვალიფიკაციის შესახებ განაცხადის ნებისმიერი ნაბეჭდი ასლის დედნის სახით შესრულებულ ასლებსა და ელექტრონულ ასლებს შორის, უპირატესობა ენიჭება ნაბეჭდი ასლის დედნის სახით შესრულებულ ასლებს.

3.2.2 ენა

კვალიფიკაციის შესახებ განაცხადი და ყველა დანართი უნდა იყოს შესრულებული ქართულ ან ინგლისურ ენაზე, რომელსაც თან უნდა ახლდეს ქართული თარგმანი.

3.2.3 ვალუტა

ნებისმიერი თანხა და კალკულაცია კვალიფიკაციის შესახებ განაცხადში წარმოდგენილი უნდა იყოს ევროში ან აშშ დოლარში. თუ საბაზისო ვალუტა არ არის ევრო/აშშ დოლარი, კანდიდატების მიერ გამოყენებულ უნდა იქნას შემდეგი გაცვლითი კურსის თარიღები:

- აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებებისთვის: ანგარიშგებაში გათვალისწინებული წლის 31 დეკემბერი.
- პროექტის მითითებებისთვის: 1 იანვარი 2023

3.3 დაზუსტების მოთხოვნები და საკონტაქტო მისამართი

თითოეულმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს ნებისმიერი მოთხოვნა დაზუსტებების თაობაზე არაუგვიანეს 2023 წლის 21 აპრილისა, ელ-ფოსტით ქვემოთ მითითებულ ელ.ფოსტის მისამართებზე. სააგენტო უპასუხებს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ნებისმიერ მოთხოვნას დაზუსტებების შესახებ პირადად; თუმცა, კანდიდატებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ სააგენტოს შეიძლება მოუწიოს ყველა კანდიდატისთვის ხელმისაწვდომი გახადოს და/ან საჯაროდ გამოაქვეყნოს პასუხები განმარტებებზე, “PPP კანონის” შესაბამისად. თუ კანდიდატი მიიჩნევს, რომ რაიმე ინფორმაცია მისი ინტელექტუალური საკუთრებაა „PPP დადგენილების“ 34-ე მუხლის მიზნებისათვის და არ უნდა გამოქვეყნდეს, მან უნდა აცნობოს სააგენტოს.

სახელი: დავით ჯავახაძე

პოზიცია: დირექტორი

ორგანიზაცია: სსიპ ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო

მისამართი: ბაზის რიგი 7, თბილისი, საქართველო, 0105

ელ-ფოსტა: djavakhadze@anaklia.gov.ge

სახელი: ქეთევან გოგუა

თანამდებობა: დირექტორის მოადგილე

ორგანიზაცია: სსიპ ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო

მისამართი: საქართველო, თბილისი, ბაზის რიგის 7, 0105

ფოსტა: kgogua@anaklia.gov.ge

3.4 შეტყობინება

სააგენტო თითოეულ კანდიდატს წერილობით აცნობებს კვალიფიკაციის შესახებ განაცხადების შეფასების შედეგებს. აღნიშნული შეტყობინება მოიცავს ცნობას იმის შესახებ, რომ კანდიდატმა წარმატებით გაიარა საკვალიფიკაციო ეტაპი და მას, როგორც კვალიფიციურ კანდიდატს გაეგზავნება მოთხოვნა წინადადების წარმოდგენის შესახებ, ან ცნობას იმის შესახებ, რომ მან ვერ გადალახა საკვალიფიკაციო ეტაპი.

წინამდებარე პუნქტი განსაზღვრავს განზრახულობის შესახებ განაცხადით მოთხოვნილ ინფორმაციას და დოკუმენტებს და ასევე საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომლებსაც შესარჩევი კომისია გამოიყენებს კვალიფიკაციის შესახებ განაცხადთა („განზრახულობის შესახებ განაცხადის მოთხოვნები“) შეფასებისას.

4.1 კანდიდატის შესახებ ინფორმაცია და დოკუმენტები

კვალიფიკაციის შესახებ განაცხადი უნდა შეიცავდეს ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩამოთვლილ ყველა კომპონენტს. თითოეული ფორმა ახსნილია წინამდებარე დოკუმენტში [და ასევე თანდართულია Word ფორმატში].

კვალიფიკაციის შესახებ განაცხადის ფორმები

შინაარსი	ფორმატი
გაუმჟღავნებლობის შესახებ ხელშეკრულება	ფორმა I
კანდიდატის შესახებ ზოგადი ინფორმაცია	ფორმა II
დაუშვებლობის და/ან დისკვალიფიკაციის საფუძვლები	ფორმა III
საკვალიფიკაციო მოთხოვნები	IV – IX-ფორმები

4.2 გაუმჟღავნებლობის შესახებ ხელშეკრულება (ფორმა I)

თითოეულ კანდიდატს უფლება აქვს მიიღოს კომერციული კვლევები, მხოლოდ სათანადოდ ხელმოწერილი გაუმჟღავნებლობის შესახებ ხელშეკრულების სააგენტოს მიერ მიღების შემდეგ. თუ კანდიდატი არის კონსორციუმში და/ან მოიცავს ქვეკონტრაქტორებს, გაუმჟღავნებლობის შესახებ ხელშეკრულება უნდა იყოს წარმოდგენილი კონსორციუმის ყველა ცალკეული წევრისა და ქვეკონტრაქტორის მიერ.

4.3 კანდიდატის შესახებ ზოგადი ინფორმაცია (ფორმა II)

ფორმა II ითვალისწინებს ზოგად ინფორმაციას და დოკუმენტაციას კანდიდატთან დაკავშირებით, რომელიც უნდა იყოს წარმოდგენილი. თუ კანდიდატი კონსორციუმია, ეს ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს კონსორციუმის ყველა ცალკეულ წევრის და ნებისმიერი ქვეკონტრაქტორის მიერ. აღნიშნული მოიცავს (ძირითადად) სახელს და საკონტაქტო ინფორმაციას და კორპორატიულ ინფორმაციას კანდიდატთან და კონსორციუმის თითოეულ წევრთან დაკავშირებით.

დოკუმენტები უნდა იყოს ნოტარიულად დამოწმებული, ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული (სადაც ეს აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად).

თუ კანდიდატი არის კონსორციუმში და/ან მოიცავს ქვეკონტრაქტორებს, კონსორციუმის წევრები და/ან ქვეკონტრაქტორები არ შეიძლება შეიცვალონ კვალიფიკაციის შესახებ განაცხადის წარდგენის შემდეგ სააგენტოს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. აღნიშნულ შემთხვევაში, სააგენტოს ასევე უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტაცია კანდიდატის შესავსებლად დაუშვებლობის, დისკვალიფიკაციის საფუძვლებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან მიმართებით, 6.4 პუნქტის შესაბამისად.

4.4 დაუშვებლობის და/ან დისკვალიფიკაციის საფუძვლები (ფორმა III)

შერჩევის პროცესზე დაუშვებლობა

ფორმა III განსაზღვრავს რიგ საკითხებს, რომლებიც ეხება კანდიდატის და მისი კონსორციუმის წევრების და რომელიმე ქვეკონტრაქტორის შერჩევის პროცესში დაუშვებლობას, სხვადასხვა გარემოებების მიხედვით, მათ მიერ კვალიფიკაციის შესახებ განაცხადის წარდგენის თარიღის მდგომარეობით. ფორმაში, კანდიდატებს მოეთხოვებათ რამდენიმე განცხადების გაკეთება.

კანდიდატებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ „PPP კანონის“ 19.3 მუხლი კრძალავს კონცესიონერის შერჩევის პროცესის ეტაპზე იმ პირის დაშვებას, რომელიც ნასამართლევა ტერორიზმის დაფინანსებისათვის, თაღლითობისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის.

გარდა ამისა, „PPP დადგენილების“ მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი კრძალავს ცალკეული პირების მონაწილეობას შერჩევის პროცესში, როდესაც ისინი რეგისტრირებულნი არიან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში ან საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის განხორციელებისას არ შესარულეს მასზე დაკისრებული ვალდებულებები. აღნიშნული პუნქტი ასევე ეხება ინტერესთა კონფლიქტის საკითხს. კერძოდ:

„გარდა კანონით გათვალისწინებული შეზღუდვებისა, შერჩევის პროცესის ეტაპზე დაუშვებელია იმ პირის მონაწილეობა, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ შეყვანილია შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში ან უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის განხორციელებისას არ შესარულეს მასზე დაკისრებული ვალდებულებები. გარდა ამისა, დაუშვებელია იმ სუბიექტის მონაწილეობა შერჩევის პროცესში, რომლის დირექტორს,

პარტნიორს, საბოლოო ბენეფიციარს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრს შესაძლებელია ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტი უფლებამოსილი ორგანოს ხელმძღვანელ პირთან. ინტერესთა კონფლიქტს ადგილი აქვს, თუ პირებს შორის არსებობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობები, კანონისა და ამ წესის თავისებურებების გათვალისწინებით. “.

შერჩევის პროცესში მონაწილეობის უფლება არ აქვთ სახელმწიფოს ან/და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ საწარმოებს, სადაც სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტი პირდაპირ ან ირიბად ფლობს 30%-ზე მეტ წილს.

კანდიდატი თანახმაა წარმოადგინოს მტკიცებულება და დოკუმენტაცია სამინისტროსა და სააგენტოს მოთხოვნით III ფორმაში ასახული განცხადებების დასადასტურებლად.

დისკვალიფიკაცია შერჩევის პროცესში

კანდიდატი დაუყოვნებლივ შეატყობინებს სამინისტროს და სააგენტოს, თუ რაიმე გარემოება იწვევს შერჩევის პროცესში შევსებულ ფორმა III-ში გაკეთებული განცხადებების გაუქმებას. სამინისტროს და სააგენტოს უფლება აქვთ მოითხოვონ კანდიდატისგან მტკიცებულებები ან დოკუმენტები და არ დაუშვან ან დისკვალიფიკაცია მოახდინონ კანდიდატების შერჩევის პროცესიდან, კვალიფიკაციის შესახებ განაცხადის წარდგენის შემდეგ, წინამდებარე გმგ-ს, “PPP კანონისა” და “PPP დადგენილების” შესაბამისად.

შესარჩევ კომისიას უფლება აქვს შერჩევის პროცესში მოახდინოს კანდიდატის დისკვალიფიკაცია “PPP დადგენილების” მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლებით. ეს საფუძვლებია:

- კანდიდატი უარს იტყვის საკუთარ წინადადებაზე;
- კანდიდატის მიერ წარმოდგენილი წინადადება არ შეესაბამება შერჩევის დოკუმენტაციის მოთხოვნილ პირობებს;
- კანდიდატი არ დააზუსტებს დადგენილ ვადაში, არასრულყოფილად დააზუსტებს ან/და დაზუსტების შემდგომ არსებითად შეცვლის დოკუმენტაციას;
- კანდიდატი უარს ამბობს ან სხვაგვარად გამოხატავს უარს ხელშეკრულების დადებაზე;
- კანდიდატი ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას;

შესარჩევ კომისიას სურს გამოიყენოს დისკვალიფიკაციის დამატებითი საფუძვლები, რომლებიც ასევე ჩამოყალიბებულია III ფორმაში. შესარჩევ კომისიას ასევე უფლება ექნება მოახდინოს კანდიდატის დისკვალიფიკაცია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით. თუ კანდიდატი ან მისი კონსორციუმის რომელიმე წევრი და/ან ქვეკონტრაქტორი ვერ აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებიდან ერთს ან მეტს, ეს კანდიდატი შეიძლება დისკვალიფიცირებული იყოს შერჩევის პროცესიდან.

45 საკვალიფიკაციო მოთხოვნები (IV – IX ფორმები)

წინამდებარე დოკუმენტის IV – IX ფორმები განსაზღვრავს განცხადებებსა და მოთხოვნებს (შემდგომში „საკვალიფიკაციო მოთხოვნები“), რომელიც ყველა კანდიდატმა უნდა დააკმაყოფილოს და დაადასტუროს შემდგენიარად:

- ფორმა IV – საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ განაცხადი;
- ფორმა V – საკვალიფიკაციო მოთხოვნები: ტექნიკური მოთხოვნები;
- ფორმა VI – საკვალიფიკაციო მოთხოვნები: საინვესტიციო მოთხოვნები;
- ფორმა VII – საკვალიფიკაციო მოთხოვნები: ადამიანური რესურსების და მენეჯმენტის მოთხოვნები;
- ფორმა VIII – საკვალიფიკაციო მოთხოვნები: ოპერირების მოთხოვნები; და,
- ფორმა IX – საკვალიფიკაციო მოთხოვნები: ფინანსური მოთხოვნები;

იმ შემთხვევაში თუ კანდიდატი ან კონსორციუმის წევრები და/ან ქვეკონტრაქტორები ერთობლივად ვერ აკმაყოფილებენ ამ მოთხოვნებიდან ერთს ან მეტს, ეს კანდიდატი არ იქნება კვალიფიცირებული წინადადებების წარმოდგენის შესახებ მოთხოვნის (RFP) ეტაპზე გადასასვლელად.

5 კვალიფიკაციის შესახებ განაცხადის შეფასება

5.1 შეფასების პროცედურა

წარდგენილი კვალიფიკაციის შესახებ განაცხადები გაიხსნება 2023 წლის 22 მაისს, სააგენტოს შენობაში. შეფასების პროცესს ჩაატარებს შესარჩევი კომისია კვალიფიკაციის შესახებ განაცხადების წარდგენის შემდეგ „PPP კანონის, „PPP დადგენილების“ და განზრახულობის შესახებ წინამდებარე განაცხადის შესაბამისად.

მხოლოდ ის კანდიდატები, რომლებიც აკმაყოფილებენ განზრახულობის შესახებ წინამდებარე განაცხადის ყველა მოთხოვნას (მათ შორის, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს) იქნებიან კვალიფიცირებულნი და მოწვეულნი წინადადებების წარმოსადგენად.

კვალიფიციური კანდიდატები მოწვეულნი იქნებიან წარმოადგინონ სრული ტექნიკური და კომერციული წინადადებები პროექტისთვის, მათ შორის ანაკლის ნავსადგურის პროექტირებასთან, მშენებლობასთან, ოპერირებასთან და დაფინანსებასთან დაკავშირებით. წინადადებების წარმოდგენის შესახებ მოთხოვნა (RFP), რომელიც მოიცავს კონცესიის ხელშეკრულების შემოთავაზებულ პირობებს და პარტნიორთა შეთანხმების პირობებს დაიგზავნება სამინისტროს/სააგენტოს მიერ კვალიფიციურ კანდიდატებთან.

სამინისტრო/სააგენტო გეგმავს გამოსცეს წინადადებების წარმოდგენის შესახებ მოთხოვნა არაუგვიანეს 2023 წლის 17 ივლისისა.

5.2 კვალიფიკაციის შესახებ განაცხადების (კმგ) შეფასება

კვალიფიკაციის შესახებ განაცხადი უნდა:

- წარმოდგენილ იქნეს 3.2 პუნქტში აღწერილი მითითებების შესაბამისად;
- აკმაყოფილებდეს 4.3 პუნქტში აღწერილი შინაარსის მოთხოვნებს;
- ადასტურებდეს ან აცხადებდეს, რომ არ არსებობს კანდიდატის ან კონსორციუმის რომელიმე წევრის ან/და მისი ქვეკონტრაქტორების დაუშვებლობის ან/და დისკვალიფიკაციის საფუძველი, როგორც ეს აღწერილია 4.4 პუნქტში.
- შესაბამებოდეს 4.5 პუნქტში აღწერილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

6 ზოგადი მოთხოვნები და პირობები

შემდეგი მოთხოვნები და პირობები გავრცელდება განზრახულობის შესახებ წინამდებარე განაცხადთან მიმართებით.

6.1 კანდიდატების უკუკავშირის ვალდებულება

წინამდებარე დოკუმენტი შედგენილია დიდი ყურადღებით, თუმცა, შესაძლებელია, რომ ინფორმაცია წინამდებარე გზა-ში იყოს გაურკვეველი, ორზროვანი, წინააღმდეგობრივი და ა.შ. კანდიდატებს მოუწოდებთ, დაუკავშირდნენ სააგენტოს მსგავსი საკითხების განსახილველად, რათა უზრუნველყონ კვალიფიკაციის შეუფერხებელი პროცესი.

6.2 კვალიფიკაციის შესახებ განაცხადის ფარგლებში შერჩევისა და ხარჯების დაფარვის ვალდებულების არარსებობა

აღსანიშნავია, რომ ეს მოწვევა არ წარმოადგენს საქართველოს მთავრობის, სამინისტროს, სააგენტოს ან შესარჩევი კომისიის ვალდებულებას, შეარჩიოს რომელიმე კანდიდატი და/ან აუნაზღაუროს რაიმე ხარჯი რომელიმე კანდიდატს. გარდა ამისა, კვალიფიკაციის შესახებ განაცხადის წარდგენა არ ანიჭებს უფლებას არცერთ კანდიდატს ჰქონდეს რაიმე მოთხოვნები საქართველოს მთავრობის ან სამინისტროს/სააგენტოს მიმართ იმ კანდიდატის ან კონსორციუმის სახელით, რომელმაც უპასუხა განზრახულობის შესახებ წინამდებარე განაცხადს. წინამდებარე გზა-ს და/ან ნებისმიერი შერჩევის პროცესის შედეგად (გზა-მდე ან მის შემდეგ) კანდიდატების მიერ გაწეული ყველა ხარჯი და ინფორმაციის მიღების ნებისმიერი შემდგომი მოთხოვნა უნდა იყოს მხოლოდ კანდიდატის პასუხისმგებლობა. სამინისტრო/სააგენტო ან საქართველოს მთავრობა არ აუნაზღაურებს არცერთ კანდიდატს ან სხვა მხარეს, მათ შორის შერჩეულ კანდიდატებს და/ან შერჩევის პროცესში გამარჯვებულს, არანაირ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია კონცესიის ხელშეკრულების ხელმოწერამდე ან ხელმოწერის შემდგომ.

6.3 არასათანადო გავლენა

ნებისმიერი კანდიდატის ან მათი წარმომადგენლის ან ქვეკონტრაქტორის მიერ რაიმე სახის ზეგავლენის მოხდენის მცდელობამ შერჩევის პროცესზე შეიძლება გამოიწვიოს კანდიდატის დისკვალიფიკაცია. ნებისმიერი კანდიდატი, რომელიც პირდაპირ ან ირიბად აეიტაცის ჩაუტარებს მთავრობის ან სამინისტროს/სააგენტოს რომელიმე ოფიციალურ პირს, წარმომადგენელს ან თანამშრომელს ამ შერჩევის პროცესთან ან ზოგადად პროექტთან დაკავშირებით, ან ვინც უკანონოდ პირდაპირ ან ირიბად მოიპოვებს ან ცდილობს მოიპოვოს ინფორმაცია ნებისმიერი ასეთი ოფიციალური პირისგან, წარმომადგენლისგან, ან თანამშრომლისგან სხვა კანდიდატთან დაკავშირებით, კვალიფიკაციის შესახებ განაცხადის წარდგენასთან ან შემოთავაზებული კვალიფიკაციის შესახებ განაცხადის წარდგენასთან დაკავშირებით, დისკვალიფიცირებული იქნება.

ნებისმიერი კანდიდატი, რომელიც: (i) დადებს რაიმე ხელშეკრულებას ან შეთანხმებას ნებისმიერ სხვა კანდიდატთან, ან პოტენციურ კანდიდატთან ან სხვა მხარესთან (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს პირი არის კანდიდატის კონსორციუმის ლეგიტიმური წევრი ან ქვეკონტრაქტორი) რათა იმოქმედოს ან არ იმოქმედოს წინამდებარე დოკუმენტთან დაკავშირებით, ან წახალისებს სხვა მხარეს არ წარადგინოს კვალიფიკაციის შესახებ განაცხადი; ან (ii) სთავაზობს ან თანახმაა გადაიხადოს ან გასცეს ან იხდის ან აძლევს რაიმე თანხას ან თანხებს, წახალისებს ან მატერიალურ სიკეთეს პირდაპირ ან ირიბად რომელიმე მხარეს ან პირს ქმედების ჩადენის ან ასეთი ქმედების გამოწვევისთვის, ნებისმიერი კანდიდატის კვალიფიკაციის შესახებ განაცხადთან ან შემოთავაზებულ კვალიფიკაციის შესახებ განაცხადთან დაკავშირებით, დისკვალიფიცირებული იქნება.

6.4 საკვალიფიკაციო მოთხოვნები – მიმდინარე შეფასება

თითოეული კანდიდატის ან კონსორციუმის რომელიმე წევრის და/ან ქვეკონტრაქტორის მიერ მის კვალიფიკაციის შესახებ განაცხადში გაკეთებული დადასტურებები იქნება მოქმედი კვალიფიკაციის შესახებ განაცხადის თარიღის მდგომარეობით. სააგენტოს უფლება აქვს მონიტორინგი გაუწიოს თითოეული კანდიდატის მდგომარეობას განზრახულობის შესახებ წინამდებარე განაცხადში მოცემულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან მიმართებით. თუ კანდიდატი, ან კონსორციუმის რომელიმე წევრი და/ან ქვეკონტრაქტორი დაექვემდებარა გარემოებების ცვლილებას ისე, რომ კანდიდატი აღარ აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, შესარჩევ კომისიას უფლება აქვს მოახდინოს კანდიდატის დისკვალიფიკაცია. კანდიდატი თანახმაა, სააგენტოს მოთხოვნით წარადგინოს მტკიცებულებები და დოკუმენტები მის პოზიციასთან დაკავშირებით, 4.4 პუნქტით გათვალისწინებული დაუშვებლობის ან დისკვალიფიკაციის საფუძვლების ან განზრახულობის შესახებ წინამდებარე განაცხადით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან მიმართებით. კანდიდატმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სააგენტოს, თუ ადგილი ექნება გარემოებების რაიმე ცვლილებას, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მის პოზიციაზე დაუშვებლობის ან დისკვალიფიკაციის საფუძვლების ან საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან მიმართებით (მაგალითად, ეს მოიცავს ნებისმიერ ცვლილებას კონსორციუმის წევრობაში ან კონსორციუმის დამატებით წევრებში, ქვეკონტრაქტორების ჩათვლით).

6.5 სამინისტროს/სააგენტოს უფლებები

სამინისტრო/სააგენტო იტოვებს უფლებას (საკუთარი შეხედულებისამებრ):

ა) პერიოდულად შეცვალოს ან უარი თქვას განზრახულობის შესახებ წინამდებარე განაცხადის მოთხოვნებზე (მათ შორის, საკვალიფიკაციო მოთხოვნებზე), მის მიერ წინასწარი შეტყობინების გარეშე, სამინისტროს, სსიპ საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოს და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდებზე განაცხადების გამოქვეყნებით, „PPP კანონის“ და „PPP

დადგენილების“ შესაბამისად, გარდა საჯარო და კერძო თანამშრომლობის საგნისა. ასეთ შემთხვევაში შერჩევის პროცესის ვადა გრძელდება შერჩევის პროცესის გამოცხადებიდან შესაბამისი ცვლილების შეტანამდე გასული ვადით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული ცვლილება ტექნიკური ხასიათისაა, მიზნად ისახავს ტექნიკური ხარვეზის გამოსწორებას ან დაზუსტებას;

ბ) მოითხოვოს განმარტებები ან დოკუმენტები კანდიდატის კვალიფიკაციის შესახებ განაცხადთან დაკავშირებით;

გ) საქართველოს მთავრობის თანხმობით ან/და გადაწყვეტილებით ნებისმიერ დროს უარი თქვას შერჩევის პროცესზე ან ხელახლა მოიწვიოს კანდიდატები იმავე ან სხვა ალტერნატიული პირობებით, სამინისტროს, სსიპ საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოს და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდებზე განაცხადების გამოქვეყნებით;

დ) არ შეაჩიოს შერჩევის პროცესის გამარჯვებული, არ მოაწეროს ხელი ხელშეკრულებას ამ პროცესის შედეგად, ან განაგრძოს კანდიდატების შერჩევა, ან გაუგზავნოს კანდიდატებს მოთხოვნა წინადადებების წარდგენის თაობაზე;

ე) შეიტანოს ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის, კვალიფიკაციის შესახებ განაცხადთა წარდგენისა და შერჩევის პროცესის გრაფიკში ან მის სტრუქტურაში, ან შინაარსში, ნებისმიერი მიზეზით, „PPP კანონის“ და „PPP დადგენილების“ შესაბამისად;

6.6 ინტერესთა კონფლიქტი

კანდიდატებს მოეთხოვებათ უფლებამოსილი ორგანოს ხელმძღვანელებთან მიმართებით დაადასტურონ ინტერესთა კონფლიქტის ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის არარსებობა. ინტერესთა კონფლიქტს აქვს „PPP დადგენილების“ მე-17 მუხლის მე-3 პუნქტში მოცემული მნიშვნელობა, რომელიც განსაზღვრავს, რომ „დაუშვებელია იმ სუბიექტის მონაწილეობა შერჩევის პროცესში, რომლის დირექტორს, პარტნიორს, საბოლოო ბენეფიციარს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრს შესაძლებელია ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტი უფლებამოსილი ორგანოს ხელმძღვანელ პირ(ებ)თან“, ასევე „ინტერესთა კონფლიქტს ადგილი აქვს, თუ პირებს შორის არსებობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობები, კანონისა და ამ წესის თავისებურებების გათვალისწინებით...“.

6.7 მონაწილეობის უფლება

კანდიდატებს არ აქვთ უფლება წარმოადგინონ ერთზე მეტი კვალიფიკაციის შესახებ განაცხადი განზრახულობის შესახებ წინამდებარე განაცხადისთვის. კონსორციუმის წევრებს ეკრძალებათ მონაწილეობის მიღება ერთზე მეტი კანდიდატის მხარდასაჭერად. განსხვავებული მიდგომა ქვეკონტრაქტორებთან დაკავშირებით, რომლებსაც ექნებათ უფლება მონაწილეობა მიიღონ ერთზე მეტი კვალიფიკაციის შესახებ განაცხადში, თუმცა აღნიშნული გამოაკლისი არ შეეხება პორტის ოპერატორებს. დამატებითი ინსტრუქციები, ქვეკონტრაქტორების შემდგომ ეტაპებზე მონაწილეობასთან დაკავშირებით დაზუსტდება კვალიფიკაციური კანდიდატებისთვის წინადადებათა წარმოადგენის შესახებ მოთხოვნის დოკუმენტში.

კანდიდატებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს შეცვალონ კვალიფიკაციის შესახებ განაცხადი, განაცხადის წარდგენისთვის დადგენილი ვადის გასვლამდე. ამ შემთხვევაში, კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს განმარტება კვალიფიკაციის შესახებ განაცხადში თუ რა ასპექტებს ცვლის, შლის, აახლებს ან სხვაგვარად ცვლის.

6.8 მარეგულირებელი კანონი

განზრახულობის შესახებ წინამდებარე განაცხადი, კვალიფიკაციის შესახებ განაცხადის წარდგენა და შერჩევის პროცესი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილების შესაბამისად.

6.9 უპირატესი ენა

წინამდებარე „გშ“ შედგენილია ინგლისურ და ქართულ ენებზე. რაიმე სახის შეუსაბამობის შემთხვევაში, ინგლისურ და ქართულ ვერსიებს შორის, უპირატესობა მიენიჭება ინგლისურ ვერსიას.

ფორმები

ფორმა I: გაუმყვანებლობის შესახებ ხელშეკრულება

შენიშვნა: ხელშეკრულება გაუმყვანებლობის შესახებ უნდა გაფორმდეს თითოეული კანდიდატის მიერ, ხოლო კონსორციუმის შემთხვევაში კონსორციუმის თითოეული წევრის და ყველა ქვეკონტრაქტორის მიერ.

განმარტებები

გაუმყვანებლობის შესახებ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები განმარტება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და სსიპ ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტოს მიერ გამოცემული განზრახვლობის შესახებ განაცხადში მოცემული განმარტებების შესაბამისად.

გაუმყვანებლობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულება

გაუმყვანებლობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია 2023 წლის [დღე], [თვე]:

- სსიპ ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო, რომლის ძირითადი ოფისია ბამბის რიგის 7-ში, თბილისი, საქართველო, 0105 (შემდგომში „გამამყვანებელი მხარე“);
- და
- [კანდიდატის სახელი] ძირითადი ოფისებით [მისამართი], სარეგისტრაციო ნომერი: [სარეგისტრაციო ნომერი] (შემდგომში „მიმღები“).

პროექტთან და შერჩევის პროცესთან დაკავშირებული გარკვეული კონფიდენციალური ინფორმაცია შეიძლება გაუმყვანდეს ერთმა მხარემ („გამამყვანებელი“) მეორე მხარეს („მიმღები“) იმ მიზნით, რომ მიმღებს საშუალება მისცეს შეაფასოს და/ან შეასრულოს თავისი ვალდებულებები შერჩევის პროცესთან და პროექტთან დაკავშირებით.

მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. „მიმღებმა“ უნდა ჩათვალოს კონფიდენციალურად და დაიცვას შერჩევის პროცესსა და პროექტთან დაკავშირებული „გამამყვანებელი მხარის“ მიერ მიწოდებული ინფორმაცია და მონაცემები (მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება პროგნოზებით, ანალიზებით, ბიზნეს გეგმებით და სტრატეგიით), რომელიც მიწოდებული იქნება წერილობით, ელექტრონული თუ ზეპირი ფორმით (შემდგომში „კონფიდენციალური ინფორმაცია“) და გამყვანებულია გაუმყვანებლობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შერჩევის პროცესთან და პროექტთან დაკავშირებით.
2. მიმღები თანახმაა გამოიყენოს წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული კონფიდენციალური ინფორმაცია მხოლოდ შერჩევის პროცესის და პროექტის შეფასების მიზნებისთვის.
3. გარდა მოქმედი კანონმდებლობით ან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მიმღები არ გავრცელებს ან არ გამამყვანებს კონფიდენციალურ ინფორმაციას, გარდა მისი შვილობილი კომპანიების და მათი თანამშრომლების, მისი დირექტორებისა და თანამშრომლებისა (კოლექტიურად მოხსენიებული როგორც " წარმომადგენლები“) (იმ პირობით, რომ მიმღები ყოველთვის აცნობებს წარმომადგენლებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესახებ და მიიღებს გონივრულ ზომებს, რათა უზრუნველყოს წარმომადგენლების მიერ იმავე ვალდებულებების დაცვა), გარდა იმ შემთხვევისა, თუ:
 - (ა) ასეთი ინფორმაცია ზოგადად საჯაროდ ხელმისაწვდომია, გარდა გაუმყვანებლობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევებისა,
 - (ბ) ასეთი ინფორმაცია უკვე არის მიმღების მფლობელობაში რაიმე შეზღუდვის გარეშე, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინფორმაციის ნებისმიერ გამყვანებამდე; ან
 - (გ) ასეთი ინფორმაცია არის ან კანონიერად იქნა გამყვანებული მიმღებისთვის იმ პირის მიერ, რომელსაც შეუძლია კანონიერად გამყვანდეს იმავე ინფორმაცია კონფიდენციალურობის შეზღუდვის გარეშე; ან
 - (დ) ასეთი ინფორმაცია დამოუკიდებლად არის შემუშავებული მიმღების ან მისი შვილობილი კომპანიების მიერ და არცერთი კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მყვანდება წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, არ იქნა გამოყენებული ამ პროცესში პირდაპირ ან ირიბად.

4. მიმღები გარანტიას იძლევა, რომ ის დაიცავს კონფიდენციალური და საკუთრების ინფორმაციის უნებართვო გამჟღავნებას და თანახმაა დაიცავს კონფიდენციალური ინფორმაცია მინიმუმ იმავე გზით და იმავე ხარისხით, როგორც გულმოდგინე და პროფესიონალი პირი, რომელიც სათანადო ყურადღებით მოქმედებს, იცავს საკუთარ კონფიდენციალურ და საკუთრებაში არსებულ ინფორმაციას. მიმღებს შეუძლია გაუმჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია „დაშვებულ დამატებით მიმღებ პირებს“, ყოველთვის იმ პირობით, რომ ასეთი „დაშვებული დამატებითი მიმღებები“ ან ხელს აწერენ მიმღებთან კონფიდენციალურობის ხელშეკრულებას, რომელიც არსებითად მსგავსია წინამდებარე დოკუმენტის, ან, საჭიროების შემთხვევაში, მოეთხოვებათ დაიცვან პროფესიული ქცევის კოდექსები, რომლებიც უზრუნველყოფენ ასეთი ინფორმაციის კონფიდენციალურობას. „დაშვებული დამატებითი მიმღებები“ ნიშნავს მიმღების უფლებამოსილ წარმომადგენლებს (წარმომადგენლების გამოკლებით), აუდიტორების, მრჩეველების და ფინანსური მრჩეველების ჩათვლით და წარმომადგენლებს, რომლებსაც მიმღებმა უნდა გაუმჟღავნოს ასეთი კონფიდენციალური ინფორმაცია შერჩევის პროცესისა და პროექტის შეფასების ხელშესაწყობად. დაშვებულ დამატებით მიმღებებს და წარმომადგენლებს არ ექნებათ რაიმე დამატებითი უფლება, გარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულისა, გაავრცელონ ან გამჟღავნონ ასეთი კონფიდენციალური ინფორმაცია, იმ პირობით, რომ ასეთი კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება ან გავრცელება შესაძლებელია ნებისმიერი წარმომადგენლისთვის. თუ მიმღებმა რეალურად იცის, რომ დაშვებულმა დამატებითმა მიმღებმა არსებითად დაარღვია კონფიდენციალურობის ვალდებულებები კონფიდენციალურ ინფორმაციასთან დაკავშირებით (შემდგომში „პოტენციური პრეტენზია“), მაშინ მიმღები (i) დაუყოვნებლივ აცნობებს გამამჟღავნებელ მხარეს და (ii) შეასრულებს გამამჟღავნებლის გონივრულ მითითებებს, გამოხატოს პოტენციური პრეტენზია ასეთი დაშვებული დამატებითი მიმღების წინააღმდეგ გამამჟღავნებლის სასარგებლოდ.
5. გამამჟღავნებლის მოთხოვნით, ყველა კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელსაც ფლობს ან აკონტროლებს მიმღები, დაუბრუნდება გამამჟღავნებელ მხარეს ან განადგურდება გამამჟღავნებლის სურვილითა და მითითებით, იმ პირობით, რომ მიმღებს უფლება აქვს შეინახოს კონფიდენციალური ინფორმაციის ერთი ასლი, სამართლებრივი, მარეგულირებელი ან აუდიტის მიზნების შესაბამისად..
6. გაუმჟღავნებლობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულება არ არის განკუთვნილი და არ ავალდებულებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მხარეს დადოს დამატებითი ხელშეკრულებები ან გაავრცელოს შერჩევის პროცესი და პროექტი, ნებისმიერი შესაძლო ურთიერთობა ან სხვა პროექტი.
7. ყველა კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც გამჟღავნებულია წინამდებარე ხელშეკრულებით, მუდამ დარჩება გამამჟღავნებლის საკუთრებაში და არაფერი, რაც მოცემულია წინამდებარე გაუმჟღავნებლობის ხელშეკრულებაში გაგებულ უნდა იქნას რაიმე ლიცენზიით ან სხვაგვარად უფლებების მინიჭებად მიმღებისთვის გამამჟღავნებულ ნებისმიერ კონფიდენციალურ ინფორმაციასთან დაკავშირებით.
8. მიმღები აუნაზღაურებს გამამჟღავნებელს ყველა პასუხისმგებლობას, ხარჯებს, ზარალსა და დანაკარგებს (მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება რაიმე პირდაპირი, არაპირდაპირი ან არაშედეგობრივი ზარალით, რეპუტაციის შელახვით და რაიმე სარგებლის დაკარგვით, ჯარიმებით და იურიდიული ხარჯით (გამოითვლება სრული ანაზღაურების საფუძველზე) და ყველა სხვა გონივრულ პროფესიულს დანახარჯებს), რომელიც მიადგა გამამჟღავნებელ მხარეს, რომელიც წარმოიშვა მიმღების მიერ ამ შეთანხმების ნებისმიერი დარღვევის შედეგად ან მასთან დაკავშირებით.
9. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვაგვარად არის შეთანხმებული წერილობით, გამამჟღავნებელი მხარე არ იძლევა რწმუნებულებას ან გარანტიას მიმღებისთვის გამჟღავნებული ნებისმიერი ინფორმაციის სიზუსტესა და სისრულესთან დაკავშირებით და არ იღებს ვალდებულებას, აცნობოს მიმღებს ამ ინფორმაციის რაიმე ცვლილების შესახებ. მიმღები თანახმაა, რომ გამამჟღავნებელი მხარე და/ან მისი რომელიმე შვილობილი და მისი თანამშრომლები, დირექტორები და თანამშრომლები არ იქნებიან პასუხისმგებელი მიმღების მიერ ასეთი ინფორმაციის გამოყენების შედეგად. მიმღები იქნება ერთპიროვნულად პასუხისმგებელი ნებისმიერი დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებაზე შერჩევის პროცესთან და პროექტთან დაკავშირებით გამამჟღავნებელზე დამოკიდებულების გარეშე.
10. არცერთი მხარის მიერ რაიმე უფლებამოსილების ან პრივილეგიის განხორციელების შეუძლებლობა ან შეფერხება არ გამოიწვევს ამ უფლებებზე უარის თქმას და არც მხოლოდ ერთი ცალკეული უფლების ან უფლებების ნაწილობრივი განხორციელება არ გამორიცხავს მის სხვა ან შემდგომ განხორციელებას. მხარის მიერ უფლებებზე უარის თქმა გაუმჟღავნებლობის შესახებ ხელშეკრულებით ძალაში იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს უარი მხარის მიერ პირდაპირ წერილობით იქნება გაცხადებული.
11. გაუმჟღავნებლობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულება და მასში გათვალისწინებული ვალდებულებები, სავალდებულოა მხარეთათვის, მათი უფლებამონაცვლეებისთვის და მათ მიერ დანიშნული პირებისთვის. არცერთ მხარეს არ შეუძლია გადასცეს რომელიმე მისი უფლება ან ვალდებულება გაუმჟღავნებლობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებით, მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე (რომლის თანხმობაც არ უნდა იყოს უსაფუძვლოდ დაყოვნებული).
12. გაუმჟღავნებლობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულება შეეხება მხოლოდ მხარეთა და მათი შესაბამისი უფლებამონაცვლეებსა და კანონიერ სამართალმემკვიდრეებს და სხვაგვარად არ უნდა იქნეს გაგებული, რომ თითქოს აკისრებს ან ანიჭებს სხვა მესამე მხარეს რაიმე უფლებებს, პრეტენზიას, პასუხისმგებლობას, ანაზღაურებას, ქმედების საფუძველს ან სხვა უფლებას.

13. თუ წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი დებულება ან მისი ნაწილი აღმოჩნდება, რომ არ არის აღსრულებადი, ძალადაკარგულია ან ეწინააღმდეგება კანონს (შემდგომში „სადავო დებულება“), ეს გავლენას არ მოახდენს ამ ხელშეკრულების სხვა ნაწილზე ან ასპექტზე და გაუმყდავენებლობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულება დარჩება სრულ ძალაში მისი პირობების შესაბამისად, სადავო დებულების გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი შეწყვეტა გააბათილებს გაუმყდავენებლობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების ძირითად მიზნებს. თუ რომელიმე დებულება ასეა შეწყვეტილი, მხარეები თანხმდებიან გამოიყენონ მაქსიმალური ძალისხმევა იმავე შედეგის მისაღწევად, რაც გათვალისწინებული იყო ამ დებულებით.
14. მხარისთვის განკუთვნილი შეტყობინება (რომელიც უნდა მოიცავდეს ყველა მოთხოვნას და პრეტენზიას) უნდა იყოს წერილობითი ფორმით და გაიგზავნოს მის მისამართზე, რომელიც მითითებულია გაუმყდავენებლობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებაში ან სხვა მისამართზე, რომელიც მან შეიძლება მიაწოდოს მეორე მხარეს წერილობით. შეტყობინებები შეიძლება გაიგზავნოს ნებისმიერი კომერციულად გავრცელებული საშუალებით, მათ შორის ფოსტით, კურიერით, ელექტრონული ფოსტით და ფაქსით. შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება ჩაბარებისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიღებულია იმ დღეს ან დროს, როდესაც მიღები არ ფუნქციონირებს (არ არის სამუშაო დღე), ამ შემთხვევაში ის მიღებულად ჩაითვლება მომდევნო სამუშაო დღეს.
15. გაუმყდავენებლობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხუთი (5) წლის განმავლობაში. მხარეები ადასტურებენ და აღიარებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიმღების ვალდებულებები ძალაში დარჩება ამ ხელშეკრულების ვადის გასვლის ან შეწყვეტის შემდეგაც განუსაზღვრელი ვადით.
16. გაუმყდავენებლობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება უნდა იყოს წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი თითოეული მხარის მიერ.
17. ყველა დავა, რომელიც წარმოიქმნება ან დაკავშირებულია გაუმყდავენებლობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებასთან, მათ შორის დავები მის ჯეროვან შესრულებასთან, დარღვევასთან ან შეწყვეტასთან დაკავშირებით, აგრეთვე მისგან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგები, საბოლოოდ გადაწყდება საქართველოს სასამართლოების მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
18. გაუმყდავენებლობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
19. გაუმყდავენებლობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შესრულდეს ეგზემპლარების ნებისმიერი რაოდენობით, რომელთაგან თითოეული უნდა იყოს დედანი. მხარეთა მიერ ხელშეკრულების გაფორმებისთანავე, გაუმყდავენებლობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ზემოთ მითითებული თარიღიდან.

სსიპ ანაკლია ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტოს სახელით და სახელზე
სახელი:

თანამდებობა:

თარიღი: _____ 2023

პირობების მიღება

ჩვენ წინამდებარე დოკუმენტით ვეთანხმებით და ვიღებთ გაუმყდავენებლობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ პირობებს

რომელიც ხელმოწერილია, ქვემოთ მოცემული პირის სახელით ან სახელზე

სახელი:

თანამდებობა:

თარიღი: _____ 2023

ფორმა II: ზოგადი ინფორმაცია კანდიდატის შესახებ

შემდეგი ინფორმაცია უნდა იქნას წარმოდგენილი კანდიდატის, კონსორციუმის თითოეული წევრის და ყველა ქვეკონტრაქტორის მიერ (გარდა II-1-ისა, რომელიც უნდა შესრულდეს მხოლოდ წამყვანი წევრის მიერ).

II-1 ზოგადი ინფორმაცია კანდიდატის, ან კონსორციუმის შემთხვევაში, კონსორციუმის წამყვანი წევრის შესახებ:

სახელი	
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა	
რეგისტრაციის ქვეყანა	
რეგისტრირებული მისამართი	
რეგისტრაციის ნომერი	
ოფისის მისამართი	
ელ-ფოსტა	
ტელეფონის ნომერი	

უფლებამოსილი წარმომადგენელი	
თანამდებობა	
წარმოდგენილი იურიდიული პირის სახელი	

ალტერნატიული უფლებამოსილი წარმომადგენელი	
თანამდებობა	
წარმოდგენილი იურიდიული პირის სახელი	

II-2 თუ კანდიდატი არის კონსორციუმი, ვინ არიან კონსორციუმის წევრები? ვინ არიან ქვეკონტრაქტორები?

სახელი	
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა	
რეგისტრაციის ქვეყანა	
რეგისტრირებული მისამართი	
რეგისტრაციის ნომერი	
ოფისის მისამართი	
ელ-ფოსტა	
ტელეფონის ნომერი	
კონსორციუმში მონაწილეობის % და ფუნქცია/ქვეკონტრაქტორის როლი და ფუნქცია	

II-3 აღწერეთ კანდიდატის ან კონსორციუმის წევრების და/ან ყველა ქვეკონტრაქტორის ძირითადი საქმიანობები, წლები ბიზნესში, სტრატეგია და კორპორატიული მმართველობა:

II-4 კანდიდატის დაფუძნების სათანადოდ დამოწმებული ასლი შესაბამისი რეესტრიდან და წესდების დამოწმებული ასლები, ასევე კონსორციუმის თითოეული წევრისა და ყველა ქვეკონტრაქტორისთვის.

II-5 პარტნიორთა სია, რომლებიც ფლობენ კანდიდატის (ან კონსორციუმის თითოეული წევრის და ყველა ქვეკონტრაქტორის) წილების/აქციების 5%-ზე მეტს, მათ შორის ინფორმაცია საბოლოო დადასტურებული მესაკუთრის შესახებ.

II-6 2017, 2018, 2019, 2020 და 2021 წლების აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება შეიძლება წარმოდგენილი იყოს კანდიდატების საკუთარი ფორმატით და თან უნდა დაერთოს კვალიფიკაციის შესახებ განაცხადის (კშგ) დოკუმენტს. ინფორმაცია უნდა იყოს მოწოდებული კანდიდატის, კონსორციუმის თითოეული წევრის და ყველა/ნებისმიერი ქვეკონტრაქტორის მიერ.

II-7 ნებისმიერი სასამართლო დავის, არბიტრაჟის ან სხვა გამოძიების ან საქმისწარმოების სია, რომელშიც მხარე იყო კანდიდატის ან კონსორციუმის წევრების ან ქვეკონტრაქტორების კორპორატიულ ჯგუფში შემავალი რომელიმე კომპანია ბოლო 5 წლის განმავლობაში, თითოეულ შემთხვევაში 250,000 აშშ დოლარზე მეტი ღირებულებით.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ უფლებამოსილი წარმომადგენელი და მისი შემცვლელი, უფლებამოსილია იმოქმედოს როგორც მთავარი საკონტაქტო პირი კანდიდატის სახელით.

ხელმოწერა [ადგილი]/[თარიღი]

კანდიდატის უფლებამოსილი ხელისმომწერის სახელი: [სახელი]

კანდიდატის უფლებამოსილი ხელისმომწერის ხელმოწერა: [ხელმოწერა]

ფორმა III: შერჩევის პროცესზე დაუშვებლობის და/ან დისკვალიფიკაციის საფუძვლები

წინამდებარე განაცხადს ხელი უნდა მოაწეროს კანდიდატის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა, ხოლო კონსორციუმის შემთხვევაში კონსორციუმის თითოეულმა წევრმა და ყველა ქვეკონტრაქტორმა.

მე, ქვემოთ ხელმოწერი, უფლებამოსილი ვარ ხელი მოვაწერო [კანდიდატის სახელი] სახელით, ვადასტურებ და ვაცხადებ, რომ კვალიფიკაციის შესახებ განაცხადის (კშგ) წარმოდგენის თარიღის მდგომარეობით, კანდიდატი და ყველა/თითოეული მისი კონსორციუმის წევრი და ყველა ქვეკონტრაქტორი აკმაყოფილებენ ქვემოთ მოცემულ მოთხოვნებსა და პირობებს.

1. არ ყოფილა ნასამართლევი:

- ა) ტერორიზმის დაფინანსებისათვის,
- ბ) თაღლითობისათვის ან/და
- გ) უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის.

2. არ:

- ა) ყოფილა შეყვანილი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში ან
- ბ) ჰქონია ადგილი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის განხორციელებისას მასზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობას;

3. არ:

- ა. არის გაკოტრების ან ლიკვიდაციის ან სხვაგვარად გადახდისუუნარო მდგომარეობაში;
- ბ. ექვემდებარება გაკოტრების ან სხვა ნორმატიულ ან მარეგულირებელ პროცესს, რომელიც გამოიყენება გადახდისუუნარო ან მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში მყოფი სუბიექტებისთვის;
- გ. ექვემდებარება რაიმე გამოძიებას ან სამართალწარმოებას, ან რაიმე სასამართლო/საარბიტრაჟო დავას, რომელმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კანდიდატის ან მისი კონსორციუმის წევრის (მათ შორის ქვეკონტრაქტორების) უნარზე, განახორციელოს პროექტი;
- დ. მონაწილეობს წინამდებარე კვალიფიკაციის შესახებ განაცხადის (კშგ) წარდგენის პროცედურაში ერთზე მეტჯერ, როგორც კანდიდატი საკუთარი უფლებით ან სხვა კანდიდატის კონსორციუმის წევრი;
- ე. აფორმებს და/ან არ გაუფორმებია რაიმე ხელშეკრულებები ან რაიმე გარიგება სხვა მხარეებთან, რომლებიც მიზნად ისახავს ამ შერჩევის პროცესის ხელშეშლას;
- ვ. არის და/ან არ ყოფილა ჩართული შერჩევის პროცესის მომზადებაში, მათ შორის მისი რომელიმე პერსონალის ან მრჩეველის საშუალებით;

ან:

- გ. განზრახ არასწორად არ წარმოადგინა ან დამალა სააგენტოსთვის ან სამინისტროსთვის მიწოდებული ნებისმიერი შესაბამისი ინფორმაცია; ან,
- თ. გავლენა არ მოახდინა სააგენტოსა და სამინისტროს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, რათა მოეპოვებინა კონფიდენციალური ინფორმაცია, რამაც შეიძლება კანდიდატს მინიჭოს არასათანადო უპირატესობა შერჩევის პროცესში, ან გაუფრთხილებლობით არ მიუწოდებია შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია, რამაც შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს დაუშვებლობის, შერჩევის ან უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებებზე.

კანდიდატი, მისი კონსორციუმის წევრ(ებ)ი და ქვეკონტრაქტორები თანახმა არიან წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები და დოკუმენტაცია სააგენტოს მოთხოვნით ამ განაცხადის მხარდასაჭერად. კანდიდატი, მისი კონსორციუმის წევრ(ებ)ი და ქვეკონტრაქტორები დაუყოვნებლივ შეატყობინებენ სააგენტოს რაიმე გარემოების წარმოშობის შემთხვევაში, რომელიც გამოიწვევს ამ განაცხადის ბათილად ცნობას შერჩევის პროცესში.

ხელმოწერა [ადგილი], [თარიღი]

უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი: [სახელი]

უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერა: [ხელმოწერა]

ფორმა IV: საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ განაცხადი

ქვემოთ ხელმომწერი აცხადებს, რომ კანდიდატი ან მისი კონსორციუმის წევრ(ებ)ი (ინდივიდუალურად ან/და ერთობლივად) და/ან ქვეკონტრაქტორი აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს კვალიფიკაციის შესახებ განაცხადის (კშგ) თარიღისთვის:

ა. **ტექნიკური მოთხოვნა:** კანდიდატს ან მისი კონსორციუმის წევრ(ებ)ს და/ან ქვეკონტრაქტორს უნდა ჰქონდეს განხორციელებული (როგორც კონტრაქტორს, ან როგორც კონტრაქტორის დამქირავებელს) სულ მცირე ერთი (1) ღრმაწყლოვანი ნავსადგურის/ტერმინალის, წლიური მინიმალური გამტარუნარიანობით 5 მილიონი ტონა, პროექტირება, მშენებლობა და მოვლა/პატრონობა. შესაბამისად, კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს ფორმა V.

ბ. **საინვესტიციო მოთხოვნა:** კანდიდატს ან მისი კონსორციუმის წევრ(ებ)ს უნდა ჰქონდეს განხორციელებული ინვესტიცია სულ მცირე ერთ (1) ეკონომიკური ინფრასტრუქტურის პროექტში ღირებულებით სულ მცირე 500 მილიონი აშშ დოლარი. შესაბამისად, კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს ფორმა VI.

გ. **ადამიანური რესურსების და მართვის მოთხოვნები:** კანდიდატს ან მისი კონსორციუმის წევრ(ებ)ს და/ან ქვეკონტრაქტორს უნდა ჰქონდეს საკმარისი მენეჯერული და ორგანიზაციული შესაძლებლობები პროექტის განსახორციელებლად. შესაბამისად, კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს ფორმა VII.

დ. **საოპერაციო მოთხოვნები:** კანდიდატი ან მისი კონსორციუმის წევრ(ებ)ი და/ან ქვეკონტრაქტორი, მიმდინარე პერიოდში, უნდა ოპერირებდეს სულ მცირე ორ (2) საკონტეინერო ტერმინალს წლიური მინიმალური გამტარუნარიანობით თითოეულ ტერმინალზე 500,000 TEU. შესაბამისად, კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს ფორმა VIII.

ე. **ფინანსური მოთხოვნები:** კანდიდატს ან მისი კონსორციუმის წევრებს ერთობლივად (წილების პროპორციულად) უნდა ჰქონდეთ საკმარისი ფინანსური მდგომარეობა (როგორც შემდგომში განსაზღვრული ფორმა IX-ში), რათა იმოქმედონ როგორც კერძო პარტნიორმა პროექტთან მიმართებაში. ალტერნატივის სახით, კანდიდატმა ან კონსორციუმის წევრმა უნდა წარმოადგინოს დამხმარე წერილი/განზრახულობის წერილები დამფინანსებლებისგან, რათა წარმოაჩინოს პროექტის დაფინანსებისთვის 500 მილიონი აშშ დოლარის მოზიდვის შესაძლებლობა. შესაბამისად, კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს ფორმა IX.

ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილების ქვემოთ ხელმომწერ დადასტურებას თან უნდა ახლდეს შესაბამისი დოკუმენტები და ცნობები და ასევე შეესებულები იყოს ფორმები V - IX.

კანდიდატი, მისი კონსორციუმის წევრ(ებ)ი და ქვეკონტრაქტორები თანახმა არიან წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები და დოკუმენტაცია სააგენტოს მოთხოვნით ამ განაცხადის მხარდასაჭერად. კანდიდატი, მისი კონსორციუმის წევრ(ებ)ი და ქვეკონტრაქტორები დაუყოვნებლივ შეატყობინებენ სააგენტოს რაიმე გარემოების წარმოშობის შემთხვევაში, რომელიც გამოიწვევს ამ განაცხადის ბათილად ცნობას შერჩევის პროცესში.

ხელმოწერა [ადგილი], [თარიღი]

უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი: [სახელი]

უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერა: [ხელმოწერა]

ფორმა V: საკვალიფიკაციო მოთხოვნები – ტექნიკური მოთხოვნები

კანდიდატს ან მისი კონსორციუმის წევრ(ებ)ს და/ან ქვეკონტრაქტორს უნდა ჰქონდეს განხორციელებული (როგორც კონტრაქტორს, ან როგორც კონტრაქტორის დამქირავებელს) სულ მცირე ერთი (1) ღრმაწყლოვანი ნავსადგურის/ტერმინალის, წლიური მინიმალური გამტარუნარიანობით 5 მილიონი ტონა, პროექტირება, მშენებლობა და მოვლა/პატრონობა. კანდიდატებმა უნდა შეავსონ და წარმოადგინონ ფორმა V. ასევე შეიძლება წარმოდგენილი იყოს შესაბამისი დამფუძნებელი (დედა) კომპანიების მიერ ნავსადგურის განვითარების გამოცდილების დეტალები. გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, ცალკე ფორმა უნდა იყოს შევსებული თითოეული საჩვენებელი პროექტისთვის.

ინფორმაცია პროექტის შესახებ

კანდიდატის ან კონსორციუმის წევრის ან ქვეკონტრაქტორის სახელი	[დეტალები]
მითითებული პროექტის სახელწოდება	[დეტალები]
ქვეყანა	[დეტალები]
ნავსადგური	[დეტალები]
დაწყების თარიღი	[მიუთითეთ ოპერირების დაწყების წელიწადი]
მითითებული პირი (დამოუკიდებელი პირი, რომელსაც შეიძლება დაუკავშირდეთ წარდგენილი ინფორმაციის შემოწმებისთვის, მაგალითად ნავსადგურის ადმინისტრაცია)	ორგანიზაციის სახელი მისამართი საკონტაქტო პირის სახელი ტელეფონის ნომერი ელ-ფოსტა
ტერმინალის ტექნიკური სპეციფიკაციების აღწერა	[გამოიყენეთ მაქსიმუმ 200 სიტყვა ტერმინალის ზომების აღსაწერად (ნავმისადგომის კედლის სიგრძე, ნავმისადგომის სიღრმე მიმდებარედ, ტერმინალის ფართობი და ა.შ.), ოპერაციული სისტემა (ამწევის ტიპი, დამწეობი აღჭურვილობის ტიპი, ჰორიზონტალური სატრანსპორტო მოწყობილობა და ა.შ.), ჯამური ინვესტიცია და ა.შ.]
მაქსიმალური სიღრმე CD-ში ბორტთან	[CD - .. მეტრი]
ტერმინალის გამტარუნარიანობა TEU-ში წელიწადში	[xxx ტონა/TEU ყოველწლიურად], მიუთითეთ წელი
დამუშავებული ტვირთი	[ტერმინალების მიერ დამუშავებული ტვირთი ტონაში/TEU], მიუთითეთ წელი
კანდიდატის პასუხისმგებლობა ტერმინალში	[მაქსიმუმ 100 სიტყვა, ასევე მიუთითეთ იყო თუ არა ინფრასტრუქტურის განვითარება კანდიდატის პასუხისმგებლობის ნაწილი]
საინვესტიციო ვალდებულებები	აღწერეთ პროექტის სტრუქტურა. აღწერეთ კანდიდატის მიერ განხორციელებული ინვესტიციის თანხა და როგორ დაფინანსდა ეს ინვესტიციები კანდიდატის მიერ (სესხი/კაპიტალი, დაფინანსების წყაროები). აღწერეთ როდის დასრულდა პროექტი.
პარტნიორთა წილთა თანაფარდობა (% თითოეულ პარტნიორზე)	[მაქსიმუმ 100 სიტყვა]

კანდიდატი, მისი კონსორციუმის წევრ(ებ)ი და ქვეკონტრაქტორები თანახმა არიან წარმოადგინოს მტკიცებულება და დოკუმენტაცია სააგენტოს მოთხოვნით წინამდებარე განაცხადის მხარდასაჭერად. კანდიდატმა, მისი კონსორციუმის წევრ(ებ)მა და ქვეკონტრაქტორებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ სააგენტოს, თუ შერჩევის პროცესში რაიმე გარემოება წარმოიქმნება, რომლის შედეგად დასახელებული პროექტი არ უნდა იქნეს განხილული, კანდიდატის გამოცდილებაში.

ფორმა VI: საკვალიფიკაციო მოთხოვნები – საინვესტიციო მოთხოვნები

კანდიდატს ან მის კონსორციუმის წევრ(ებ)ს უნდა ჰქონდეს განხორციელებული ინვესტიცია სულ მცირე ერთ (1) ეკონომიკური ინფრასტრუქტურის პროექტში ღირებულებით სულ მცირე 500 მილიონი აშშ დოლარი. კანდიდატებმა უნდა შეავსონ და წარმოადგინონ ფორმა VI. ასევე შეიძლება წარმოდგენილი იყოს შესაბამისი დამფუძნებელი (დედა) კომპანიების საინვესტიციო გამოცდილების დეტალები. გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, ცალკე ფორმა უნდა იყოს შევსებული თითოეული საჩვენებელი პროექტისთვის.

ინფორმაცია პროექტის შესახებ	
კანდიდატის ან კონსორციუმის წევრის სახელი	[დეტალები]
მთითებული პროექტის სახელწოდება	[დეტალები]
ქვეყანა	[დეტალები]
პროექტის კაპიტალური ღირებულება	[დეტალები]
დაწყების თარიღი	[მიუთითეთ ოპერირების დაწყების წელიწადი]
მთითებული პირი (დამოუკიდებელი პირი, რომელსაც შეიძლება დაუკავშირდეთ წარდგენილი ინფორმაციის შესამოწმებლად)	ორგანიზაციის სახელი მისამართი საკონტაქტო პირის სახელი ტელეფონის ნომერი ელ-ფოსტა
ეკონომიკური ინფრასტრუქტურული პროექტის ტექნიკური სპეციფიკაციების აღწერა	[გამოიყენეთ მაქსიმუმ 200 სიტყვა ეკონომიკური ინფრასტრუქტურული პროექტის ტექნიკური სპეციფიკაციების აღსაწერად
კანდიდატის პასუხისმგებლობა პროექტში	[მაქსიმუმ 100 სიტყვა, ასევე მიუთითეთ, იყო თუ არა ინფრასტრუქტურის განვითარება კანდიდატის პასუხისმგებლობის ნაწილი]
საინვესტიციო ვალდებულებები	აღწერეთ პროექტის სტრუქტურა. აღწერეთ კანდიდატის მიერ განხორციელებული ინვესტიციის ოდენობა და როგორ დაფინანსდა ეს ინვესტიციები კანდიდატის მიერ (სესხი/კაპიტალი, დაფინანსების წყაროები). აღწერეთ როდის დასრულდა პროექტი.
პარტნიორთა წილთა თანაფარდობა (% თითოეულ პარტნიორზე)	[მაქსიმუმ 100 სიტყვა]

კანდიდატი ან კონსორციუმის წევრი თანახმაა წარმოადგინოს მტკიცებულება და დოკუმენტაცია სააგენტოს მოთხოვნით წინამდებარე განაცხადის მხარდასაჭერად. კანდიდატმა, კონსორციუმის წევრმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სააგენტოს, თუ შერჩევის პროცესში რაიმე გარემოება წარმოიქმნება, რომლის შედეგად დასახელებული პროექტი არ უნდა იქნეს განხილული, კანდიდატის გამოცდილებაში.

ფორმა VII: საკვალიფიკაციო მოთხოვნები – მოთხოვნები ადამიანური რესურსებისა და მართვის შესახებ

კანდიდატს ან მის კონსორციუმს რომელიმე წევრს და/ან ქვეკონტრაქტორს უნდა ჰქონდეს საკმარისი მენეჯერული და ორგანიზაციული შესაძლებლობები პროექტის განსახორციელებლად. კანდიდატებმა უნდა შეავსონ და წარმოადგინონ ფორმა VII.

ინფორმაცია

ადამიანური რესურსები

[ჩასვით კანდიდატის კორპორატიული პოლიტიკისა და სტრატეგიების აღწერა]

მართვა

[ჩასვით კანდიდატის კორპორატიული პოლიტიკისა და სტრატეგიების აღწერა]. ასევე წარმოადგინეთ კანდიდატის ტოპ მენეჯმენტის ან ანაკლის პროექტზე პასუხისმგებელი მენეჯერების CV]

კანდიდატი, კონსორციუმის წევრი თანახმაა წარმოადგინოს მტკიცებულება და დოკუმენტაცია სააგენტოს მოთხოვნით წინამდებარე განაცხადის მხარდასაჭერად. კანდიდატმა, კონსორციუმის წევრმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სააგენტოს, თუ შერჩევის პროცესში რაიმე გარემოება წარმოიქმნება, რომლის შედეგად დასახელებული მენეჯერული და საორგანიზაციო ინფორმაცია არ უნდა იქნეს განხილული.

ფორმა VIII: საკვალიფიკაციო მოთხოვნები – საოპერაციო მოთხოვნები

კანდიდატი ან მისი კონსორციუმის წევრ(ებ)ი და/ან ქვეკონტრაქტორი, მიმდინარე პერიოდში, უნდა ოპერირებდეს სულ მცირე ორ (2) საკონტინენტო ტერმინალს წლიური მინიმალური გამტარუნარიანობით თითოეულ ტერმინალზე 500,000 TEU. კანდიდატებმა უნდა შეავსონ და წარმოადგინონ ფორმა VIII. ასევე შეიძლება წარმოადგენილი იყოს შესაბამისი დამფუძნებელი (დედა) კომპანიების მიერ ნავსადგურის ოპერირების დეტალები. ექვსის თავიდან აცილების მიზნით, ცალკე ფორმა უნდა იყოს შევსებული თითოეული საჩვენებელი პროექტისთვის.

ინფორმაცია პროექტის შესახებ

კანდიდატის ან კონსორციუმის წევრის სახელი [დეტალები] (ქვეკონტრაქტორების ჩათვლით)	
მითითებული პროექტის სახელწოდება	[დეტალები]
ქვეყანა	[დეტალები]
ნავსადგური	[დეტალები]
დაწყების თარიღი	[სამუშაოების დაწყების წელიწადი]
მითითებული პირი (დამოუკიდებელი პირი, რომელსაც შეიძლება დაუკავშირდეთ წარდგენილი ინფორმაციის შესამოწმებლად, მაგალითად ნავსადგურის ადმინისტრაცია)	ორგანიზაციის სახელი მისამართი საკონტაქტო პირის სახელი ტელეფონის ნომერი ელ-ფოსტა
ტერმინალის ტექნიკური სპეციფიკაციების აღწერა	[გამოიყენეთ მაქსიმუმ 200 სიტყვა ტერმინალის ზომების აღსაწერად (ნავმისადგომის კედლის სიგრძე, ნავმისადგომის სიღრმე მიმდებარედ, ტერმინალის ფართობი და ა.შ.), საოპერაციო სისტემა (ამწეების ტიპი, დამწეობი აღჭურვილობის ტიპი, ჰორიზონტალური სატრანსპორტო მოწყობილობა და ა.შ.), ჯამური ინვესტიცია და ა.შ.]
მაქსიმალური სიღრმე CD-ში ბორტისაკენ	[CD - .. მეტრი]
ტერმინალის გამტარუნარიანობა TEU-ში წელიწადში -2022	[xxx TEU ყოველწლიურად],
დამუშავებული ტვირთი - 2022	[ტერმინალის მიერ დამუშავებული ტვირთი TEU ში 2022 წელს]
კანდიდატის პასუხისმგებლობა ტერმინალში	[მაქსიმუმ 100 სიტყვა, ასევე მიუთითეთ იყო თუ არა ინფრასტრუქტურის განვითარება კანდიდატის პასუხისმგებლობის ნაწილი]
საინვესტიციო ვალდებულებები (არსებობის შემთხვევაში)	აღწერეთ პროექტის სტრუქტურა. აღწერეთ კანდიდატის მიერ განხორციელებული ინვესტიციის თანხა და როგორ დაფინანსდა ეს ინვესტიციები კანდიდატის მიერ (სესხი/კაპიტალი, დაფინანსების წყაროები). აღწერეთ როდის დასრულდა პროექტი.
პარტნიორთა წილთა თანაფარდობა (% თითოეულ პარტნიორზე)	[მაქსიმუმ 100 სიტყვა]

კანდიდატი, მისი კონსორციუმის წევრი და/ან ქვეკონტრაქტორი, თანახმაა წარმოადგინოს მტკიცებულება და დოკუმენტაცია სააგენტოს მოთხოვნით წინამდებარე დეკლარაციის მხარდასაჭერად. კანდიდატმა, მისმა კონსორციუმის წევრმა და/ან ქვეკონტრაქტორმა, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სააგენტოს, თუ შერჩევის პროცესში რაიმე გარემოება წარმოიქმნება, რომლის შედეგად დასახელებული პროექტი არ უნდა იქნეს განხილული, კანდიდატის გამოცდილებაში.

ფორმა IX: საკვალიფიკაციო მოთხოვნები – ფინანსური მოთხოვნები

კანდიდატს ან მის კონსორციუმის წევრებს ერთობლივად (წილების პროპორციულად) უნდა ჰქონდეთ საკმარისი ფინანსური რესურსი, რათა იმოქმედონ როგორც კერძო პარტნიორმა პროექტთან დაკავშირებით. ამისთვის, კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ ბოლო კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშ(ებ)ი, მე-II ფორმის შესაბამისად. კანდიდატი ჩაითვლება საკმარისი ფინანსური შესაძლებლობების მქონედ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ერთ-ერთი შემდეგი მოთხოვნა:

ა) გადახდისუნარიანობა ინვესტიციის შემდეგ აღემატება [0.3], რომელიც გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\text{მინიმალური ფინანსური მოთხოვნა} = \frac{\text{საერთო კაპიტალი}}{(\text{სულ აქტივები} + 500 \text{ მილიონი აშშ დოლარი})} > [0.3]$$

ბ) კანდიდატი ან მისი კონსორციუმის რომელიმე წევრი წარმოადგენს მხარდაჭერის/განზრახულობის წერილს დამფინანსებლებისგან, რათა წარმოაჩინოს პროექტისთვის 500 მილიონი აშშ დოლარის დაფინანსების მოზიდვის შესაძლებლობა.

ქვემოთ ხელმოწერი აცხადებს, რომ

- ა. კანდიდატი ან მისი კონსორციუმის წევრები ერთობლივად (წილების პროპორციულად) აკმაყოფილებენ ფინანსური შესაძლებლობების ზემოთ მოცემულ მოთხოვნებს;
- ბ. უახლესი ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების შემდეგ, კანდიდატის ან მისი კონსორციუმის წევრებს ფინანსური მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა, ისე, რომ ეს მოთხოვნები არ დაკმაყოფილდეს მიმდინარე და მომდევნო ფინანსური წლების ფინანსურ ანგარიშგებაში;
- გ. კანდიდატს ან მის კონსორციუმის წევრებს დღემდე არ აქვს ნაკისრი ვალდებულებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კანდიდატის უნარზე, დააფინანსოს ან დაასრულოს პროექტი.

კანდიდატი, მის კონსორციუმის წევრებს თანახმა არიან წარმოადგინოს დამატებითი მტკიცებულებები და დოკუმენტაცია სამინისტროსა და სააგენტოს მოთხოვნით ამ განაცხადის მხარდასაჭერად. კანდიდატი, მის კონსორციუმის წევრებს დაუყოვნებლივ შეატყობინებენ სამინისტროს და სააგენტოს, თუ რაიმე გარემოება წარმოიქმნება, რომელიც იწვევს ამ განაცხადის ბათილად ცნობას შერჩევის პროცესში.

ხელმოწერა[ადგილი], [თარიღი]

უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი: [სახელი]

უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერა: [ხელმოწერა]